ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #57

02 ივლისი, 2018წელი

ქ. თბილისი

ერთის მხრივ,შპს ,,საფეხბურთო კლუბი სიონი" (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის გიორგი გიორბელიძის სახით და მეორეს მხრივ,შპს "ავერსის კლინიკა" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის დიმიტრი ჯორბენაძის მინდობილი პირის გიორგი გიორგობიანის (2018 წლის 13 თებერვლის მინდობილობა # 180146160) სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები:

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი-შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი:

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ჯანდაცვის სამსახურის მომსახურება_ **წელის მალების მრტ. კვლევა** (კლასიფიკატორის კოდი 85100000).

2.2. მომსახურება გაეწევა საფეხბურთო კლუბ სიონის წევრს **გურამ გიორბელიძეს** (პ/ნ10001068532).

3. ხელშეკრულების ღირებულება:

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს **300.00** (სამასი) ლარს.

3.2. მომსახურების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

3.3. ფასების ცხრილი/მიწოდების ადგილი - დანართი #1.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები:

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს გაწეული მომსახურების შესაბამისად.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება არაუგვიანეს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის ვადაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი:

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

--გაწეული მომსახურების დასახელება;

შემსყიდველი

მიმწოდებელი

--გაწეული მომსახურების მოცულობა;
--გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3.შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს:
ა) შპს „საფეხბურთო კლუბ სიონის"ექიმის ასისტენტი ჯარჯი ბუზარიაშვილი;

6. მომსახურების გაწევის ვადა:

6.1. მიმწოდებელი მომსახურებას განახორციელებს 2018 წლის 15 ივლისამდე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

7.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია** ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისინსპექტირება.

7.2. **შემსყიდველი ვალდებულია** უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია**მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**
გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება:

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის:

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელსდააკისროს, ხოლო ამ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს უფლება აქვს შემსყიდველს დააკისროს, ხოლო ამ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, მიმწოდებელი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა:

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა:

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი:

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 აგვისტომდე.

,,შემსყიდველი"
შპს ,,საფეხბურთოკლუბისიონი"
მის: ქ. ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის ქ#99
ს/კ 225376189
ბ/ კოდი: LBRTGE22
GE70LB0113121674482004
დირექტორი:

გ. გიორბელიძე

შემსყიდველი

,,მიმწოდებელი"
შპს„ავერსისკლინიკა"
მის; ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველასგამზ. #27/ბ
ს/კ 212002580
ბ/კBAGAGE22
ა/აGE05BG0000000170821600

დირექტორის მინდობილი პირი:

გ. გიორგობიანი

მიმწოდებელი

ფასების ცხრილი

ქ. თბილისი 02 ,,ივლისი" 2018წ.

#	მომსახურეობის დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ფასი	მიწოდების ადგილი
1	წელის მალების მრტ. კვლევა	პროცედურა	1	300	300	თბილისი
					300	

შპს ,,საფეხბურთო კლუბი სიონი":

გ. გიორგელიძე

შპს ,,ავერსის კლინიკა":

გ. გიორგობიანი

შემსყიდველი

მიმწოდებელი

მიღება-ჩაბარებისაქტი

ქ. თბილისი 02 „ივლისი“ 2018წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ შპს „საფეხბურთო კლუბი სიონი”, წარმოდგენილი ექიმის ასისტენტის ჯარჯი ბუზარიაშვილის სახით („შემსყიდველი“), მეორე მხრივ შპს „ავერსის კლინიკა” წარმოდგენილი გენერალური დირექტორის დიმიტრი ჯორბენაძის მინდობილი პირის გიორგი გიორგობიანის (2018 წლის 13 თებერვლის მინდობილობა №180146160) სახით, („მიმწოდებელი“), ვადგენთ აქტს მასზედ რომ „მიმწოდებელმა” შეასრულა ხელშეკრულება №5702.07.2018წ. გათვალისწინებული ჯანდაცვის მომსახურეობა (წელის მალების მრტ. კვლევა) –გურამ გიორბელიძეს (პ/ნ 10001068532), რომლის ღირებულებაც შეადგინა 300.00 (სამასი) ლარი.

„შემსყიდველი“

ხელის მოწერა და ბეჭედი ----------

ჯ. ბუზარიაშვილი

„მიმწოდებელი“

გ. გიორგობიანი

შემსყიდველი

მიმწოდებელი

მომწოდებელი და მისი მისამართი	ავერსის კლინიკა AVERSI CLINIC შ.პ.ს. "ავერსის კლინიკა" ვაჟა ფშაველას 27ბ	**ანგარიშ-ფაქტურა**
ანგ.№GE05BG0000000170821600	ს/ს "საქართველოს ბანკის" ცენტ. ფილიალი	(წინასწარი ანგარიშფაქტურა) 3 ივლისი საგადასახადო მოთხოვნილების N 3949
ს/კ 212002580 ბანკის კოდი BAGAGE 22		
მის. ვაჟა-ფშაველას გამზ. 27 ბ; ტელ: 2500-700		
მისი მისამართი		საწყობი ოპერაციის / მყიდ. შიფრი
პაციენტი	გიორბელიძე გურამ	
მისი მისამართი	თბილისი	გაგზავნის საშუალება და ქვ./ ზედნ. №
ხელშეკრ./შეკვეთის № 2018წ.	ტვირთის გაგზავნ თბილისი 2018წ.	

კოდი	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ღირებულება	დ.ღ.გ.	თანხა
MR60	ხერხემლის და ზურგის ტვინის სეგმენტის მ.რ. კვლევა		**1**	**300**		**300.00**

სამასი ლარი 00 თეთრი	**300.00**

შპს "ავერსის კლინიკის"
გენერალური დირექტორი

დიმიტრი ჯორბენაძე

LIMITED COMPANY AVERSI CLINIC GEORGIA 212002580